ლელო

№ 178 (10 842)
12 სექტემბერი,
ოთხშაბათი,
1990 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო
ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

„აურზაური ტურნირის წინ“

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

8 სექტემბრის ნომერში ამ სათაურით გამოქვეყნებული წერილით „ლელომ“ მკითხველს აუწყა, რომ ქალთა შორის ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირის ფიდე-ს მიერ შემოთავაზებულმა რეგლამენტმა ქართველ მოჭადრაკეებსა და სპეციალისტებში გაუგებრობა და დიდი გულისწყრომა გამოიწვია. შეგახსენებთ, რომ შეჯიბრება ბორჯომში უნდა დაიწყოს ოქტომბრის პირველ ნახევარში. რეგლამენტით, 8 პრეტენდენტმა მხოლოდ თითო პარტია უნდა ითამაშოს, რაც მოჭადრაკეებს თავიანთი შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალებას არ აძლევს. რედაქცია გუშინ კვლავ დაინტერესდა ამ საკითხით. შევეცადეთ შეგვეტყო, რა შედეგი გამოიღო პროტესტმა.

აი, რა გვაცნობეს საქართველოს სპორტსახკომიდან:

— დავუკავშირდით საკავშირო სპორტსახკომს და ფედერაციას. ვერც საჭადრაკო ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი ბახი, ვერც კროგიუსი — ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტი საბჭოთა კავშირიდან — თავის თავზე ვერ იღებენ პასუხისმგებლობას. ისინი აცხადებენ, რეგლამენტის საკითხი ფიდე-მ და პირადად კამპომანესმა გადაწყვიტეს და, თუ შეცვლაა, მათვე უნდა შეცვალონ თავიანთი გადაწყვეტილება.

საქართველოს წარმომადგენელთა კატეგორიული მოთხოვნით საკავშირო ფედერაცია დაუკავშირდა ფიდე-ს შტაბბინას. კამპომანესი ადგილზე არ აღმოჩნდა. ის კი უთქვამთ, ფიდე-ს ქალთა კომისიის თავმჯდომარის ნანა ალექსანდრიას პროტესტი ტელექსით მივიღეთ, მაგრამ პასუხს კამპომანესთან შეუთანხმებლად ვერ ვგზავნითო.

დრო კი გადის!

როგორია სხვა პრეტენდენტების აზრი: გვაცნობეს, რომ შეუძლებელია რომელიმე პრეტენდენტს ხელს აძლევდეს ასეთი რეგლამენტი. ყოველ შემთხვევაში, იუგოსლაველ მარიჩს თავის მხრივაც გაუგზავნია პროტესტი. ნანა ალექსანდრია წუხელ ღამით ტელეფონით უნდა დაკავშირებოდა მარიჩს, რათა შეეტყო, რა პასუხი მიიღო მან ფიდესგან.

გაზეთის ნომრის დაბეჭდვის წინ გვაცნობეს, რომ ნ. ალექსანდრიას სახელზე მოვიდა ტელექსი ფიდე-ს აღმასკომიდან. აღმასკომი ადასტურებს, რომ პრეტენდენტთა ტურნირის გადატანა ამერიკის შეერთებულ შტატებში შეუძლებელია და იგი ბორჯომში 5 ოქტომბრიდან გაიმართება, როგორც ნავარაუდევი იყო. რეგლამენტის თაობაზე პროტესტის საპასუხოდ კი სიტყვაც არ არის ნათქვამი.

საჩუქარი დაბადების დღისთვის

თბილისის ბავშვთა საფეხბურთო გუნდმა „პატარა ვერელმა“ ჯილდოების ისედაც დიდი კოლექცია ახალი პრიზით შეავსო: მან გაიმარჯვა საკავშირო ტურნირში, რომელიც ამას წინათ გაიმართა უკრაინის ქალაქ დნეპროძერჟინსკში. ამ წარმატებით ნორჩ თბილისელ ფეხბურთელთა კოლექტივმა თავისი დაბადების დღე სახახელოდ აღნიშნა.

ახლანდელი გუნდი ცნობილი საფეხბურთო კლუბის მესამე თაობაა, კლუბს კი ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის ბორის პაიჭაძის სახელი ჰქვია. კლუბი ოთხი წლის წინ, შემოდგომაზე ჩამოყალიბდა. „პატარა ვერელის“ უცვლელმა მწვრთნელმა, თავისი საქმის დიდმა ენთუზიასტმა, ვლადიმერ კოპალიანმა შეარჩია ბავშვები, რომლებსაც ის-ის იყო ექვსი წელი შეუსრულდათ. დრომ სწრაფად განვლო, მწვრთნელის გააზრებულმა მუშაობამ ტყუილად არ ჩაიარა, თავისი შრომის პირველი ნაყოფი „პატარა ვერელმა“ ჯერ კიდევ შარშანდელ ტურნირში მოიმკა, რდცა ნორჩმა ფეხბურთელებმა დნეპროპეტროვსკში გამართულ საახალწლო ტურნირში მეორე ადგილი დაიკავეს. მაშინ მათ დაიმსახურეს „მაყურებელთა სიმპათიისა“ და „ყველაზე ტექნიკური გუნდის“ საპატიო ჯილდოები. სწორედ მაშინ მიიწვიეს ჩვენი ნორჩები საბჭოთა კავშირის გმირის ს. შპაკოვსკის ტურნირზე, როგორც ვ. კოპალიანმა გვიამბო, „პატარა ვერელმა“ ზაფხულის ორი დღე ივარჯიშა მცხეთის ბავშვთა სპორტსკოლის „არმაზის“ ბაზაზე, სადაც კარგი პირობები შეუქმნეს, ხოლო რაც შეეხება დნეპროძერჟინსკში გამგზავრებას, აქ ბავშვებს დაეხმარა სპონსორი — რუსთავის ელექტრობეტონის კონსტრუქციათა ქარხანა.

შეჯიბრებაში „პატარა ვერელის“ გარდა მონაწილეობდა მცხეთის „არმაზი“ (მწვრთნელი თემურ თვალიაშვილი), სულ კი შეჯიბრებაში გამოდიოდა 1979-80 წლებში დაბადებულთა 11 გუნდი. თბილისელი ბავშვები ასაკით ყველაზე უმცროსნი იყვნენ. მიუხედავად ამისა, მათ თავიანთ ჯგუფში ხუთივე თამაში მოიგეს ბურთების საუცხოო შეფარდებით — 11:1 და ფინალში გავიდნენ, სადაც მეტოქედ სწორედ მცხეთის „არმაზი“ შეხვდათ.

„ქართულ ფინალში“ საინტერესო, დაძაბული ბრძოლა გაიმართა. გაიმარჯვა „პატარა ვერელმა“ — 2:1. მთავარი პრიზის გარდა ეს გუნდი ტურნირზე ყველაზე ტექნიკურად აღიარეს, გუნდის კაპიტანმა ლევან კუციამ საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდო მოიპოვა, ხოლო „მაყურებელთა სიმპათიის“ პრიზი დაიმსახურა სერგო ბოხოჩაძემ.

შალვა შალოლაშვილი

შეიქმნა ნარდის ფედერაცია

ნარდი, ეს უძველესი თამაში, „იატაკქვეშიდან“ გამოვიდა — შეიქმნა სპორტული ნარდის რესპუბლიკური ფედერაცია, რომლის დამფუძნებელი ფედერაციის კრება 9 სექტემბერს გაიმართა თბილისში, ჭადრაკის სახლში.

ფედერაციის თავმჯდომარედ აირჩიეს საქართველოს „ინფორმკულტურის“ პრეზიდენტი მიხეილ ხურგულაძე.

მსოფლიოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში

ვეტერანთა ლომის წილი

როგორც ვიუწყებოდით, ტოკიოში დამთავრდა მსოფლიოს მორიგი, 27-ე ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ყველაზე ბევრი საპრიზო ადგილი მოიპოვა, ქულებიც საკმარისად დააგროვა და გუნდური გამარჯვება გაინაღდა. ამ წარმატებას, ცხადია, ორმაგი ფასი ჰქონდა ნაკრების ბოლო ორი მარცხის ფონზე.

საბჭოთა მოჭიდავეების უპირატესობა მსოფლიო ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ ტურნირებში, ტრადიციულად, იმდენად დამაჯერებელი იყო, რომ გუნდური გამარჯვებები სპორტსმენებმა ადვილად გაიიოლეს. არადა, ორჯერ ამერიკის გუნდმა მოულოდნელი და, ამავე დროს, მწარე მარცხი აგემა ფავორიტებს. ერთხელ ეს მოხდა მსოფლიო თასის გათამაშებაზე, მეორედ სულ ახლახან სიეტლში, კეთილი ნების თამაშების დროს.

საჭირო იყო რაღაც გადამჭრელი ზომების მიღება, ანდა გუნდი უნდა შეგუებოდა აზრს, რომ მოწინავე პოზიციების დათმობა ძალთა რეალური შეფარდებიდან გამომდინარე ობიექტური კანონზომიერება იყო. ნაკრების ხელმძღვანელობა ამ კრიტიკულ ჟამს წავიდა გარკვეულ რისკზე და შემადგენლობაში ექვსი ახალბედა მოჭიდავე ჩარიცხა. ეს, რა თქმა უნდა, სწორი ნაბიჯი იყო, მაგრამ ალბათ ამ სიახლიდანაც არაფერი გამოვიდოდა, მწვრთნელებს ძველი გვარდიის გამოცდილებისთვისაც რომ არ მოეხმოთ. ასე შედგა საკმაოდ ჰარმონიული გუნდი ძველებისაგან (დავით გობეჯიშვილი, ლერი ხაბელოვი, არსენ ფაძაევი, მახარბეკ ხადარცევი) და ახლებისაგან.

ახლა ჩემპიონატის შედეგები გავიხსენოთ. ოთხივე ზემოჩამოთვლილმა „ვეტერანმა“ ოქროს მედალი მოიპოვა და ნაკრების საერთოგუნდურ წარმატებაში ლომის წილი შეიტანა. ცხადია, ტყუოდნენ ის სპეციალისტები, რომლებიც ზოგიერთი მსოფლიო ჩემპიონის ჩამოწერას დროზე ადრე ცდილობდნენ. ალბათ ყველას კარგად გახსოვთ რა ჩხუბისა და დავიდარაბის შემდეგ მოხვდა ქვეყნის მთავარ გუნდში დავით გობეჯიშვილი. რა ნერვების ფასად დაჯდა ზოგიერთი ვაისპეციალისტის დაჟერება იმაში, რომ დღეს-დღეობით ზემოთ დასახელებულ ქართველ მოჭიდავეებს არა ჰყავთ ალტერნატივა არა მარტო ჩვენს ნაკრებში, არამედ მსოფლიოშიც. კარგია, როცა ყველაფერი კეთილად სრულდება მაგრამ ხომ შეიძლებოდა მწვრთნელთა საბჭოს სხვა გადაწყვეტილებაც მიეღო...

მსოფლიო ჩემპიონატმა ერთხელ კიდევ დაგვიდასტურა, რომ მონოპოლიური უფლებით ჭიდაობაში არავინ სარგებლობს. კუბამ, მაგალითად, ტოკიოში მხოლოდ რვაი მოჭიდავე ჩაიყვანა და ამ კარტეტმა შინ 2 ოქროს და ერთი ბრინჯაოს მედალი წაიღო.

ტრადიციებს იბრუნებენ ირანელი მოჭიდავეებიც. როგორც გუნდის ხელმძღვანელმა მ. ჰოსეინმა აღნიშნა, მათ ჰყავთ კიდევ რამდენიმე პერსპექტიული ათლეტი, რომელთა გამოყენებას დიდ სარბიელზე ჯერ არ ჩქარობენ.

არაფერს ვამბობთ მთავარ მეტოქეებზე, ბულგარეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოჭიდავეებზე. ისინი კვლავინდებურად უპირველეს ფავორიტებად რჩებიან და ერთი არასწორი ნაბიჯიც საკმარისია, რომ შესამჩნევად დაირღვეს დღეს არსებული ბალანსი.

გადავხედოთ ცხრილს, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს საპრიზო ადგილების განაწილებაზე:

	I	II	III
სსრ კავშირი	4	1	3
ბულგარეთი	1	5	—
აშშ	1	3	1
კუბა	2	—	1
ირანი	1	—	2
ჩეხოსლოვაკია	1	—	—
საბერძნეთი	—	1	—
იაპონია	—	—	1
მონღოლეთი	—	—	1
თურქეთი	—	—	1

დაბოლოს თავად პრიზიორთა შესახებ:

48 კგ. 1. ა. მარტინესი (კუბა), 2. მ. ნეტკოვი (ბულგარეთი), 3. ტ. კაბიაში (იაპონია).

52 კგ. 1. მ. ტორკანი (ირანი), 2. ვ. იორდანოვი (ბულგარეთი), 3. ა. აგაევი (სსრკ).

57 კგ. 1. ა. პუერტოსი (კუბა), 2. რ. პავლოვი (ბულგარეთი), 3. ს. სმალი (სსრკ).

62 კგ. 1. ჯ. სმითი (აშშ), 2. რ. ვასილიევი (ბულგარეთი), 3. გ. რაშიდოვი (სსრკ)

68 კგ. 1. ა. ფაძაევი (სსრკ), 2. გ. ათანასიადისი (საბერძნეთი), 3. დ. როდრიგესი (კუბა).

74 კგ. 1. რ. სიადე (ბულგარეთი), 2. ნ. გაჯიხანოვი (სსრკ), 3. ა. ქადემი (ირანი).

82 კგ. 1. ი. ლოგინია (ჩეხოსლოვაკია), 2. რ. ალგერი (აშშ), 3. დ. სუნბატი (მონღოლეთი), 4. ა. გოგოლიშვილი (სსრკ).

90 კგ. 1. მ. ხადარცევი (სსრკ), 2. კ. კემპბელი (აშშ), 3. ჰ. მოხები (ირანი).

100 კგ. 1. ლ. ხაბელოვი (სსრკ), 2. ს. ნენჩევი (ბულგარეთი), 3. კ. ტროსტი (აშშ).

130 კგ. 1. დ. გობეჯიშვილი (სსრკ), 2. ბ. ბაუმჰარტნერი (აშშ), 3. ს. აიაკი (ირანი).

ჩვენი მსოფლიო ჩემპიონები დავით გობეჯიშვილი და ლერი ხაბელოვი გუშინ ტოკიოდან მოსკოვს ჩაფრინდნენ, დღეს კი ფალავნები შინ, თბილისში გამოემგზავრებიან.

გულშემატკივრებს ვაცნობებთ, რომ თვითმფრინავი, რომლითაც ჩვენი მოჭიდავეები ჩამოვლენ თბილის აეროპორტში, განრიგით 12 საათსა და 15 წუთზე უნდა დაეშვას. 18 საათსა და 80 წუთზე კი საქართველოს სპორტსახკომში დანიშნულია კომიტეტის ხელმძღვანელობასთან და ჟურნალისტებთან შეხვედრა.

◆ ◆ ◆

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი სასტენდო სროლაში

ნაადრევად ხომ არ დაგვივიწყეს?

რედაქციაში ორი მესტენდურე გვესტუმრა: გია შენგელია და დავით ქვათაძე, თან სასიხარულო ამბავიც მოიტანეს: საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ვერცხლის მედლები მოუპოვებიათ.

ამ უკვე საკმაოდ ცნობილმა მსროლელებმა ჩემპიონატის გარდა ბევრ სხვა საჭირბოროტო საკითხზეც ილაპარაკეს. ამიტომ ამ წერილსაც შესაბამისი თანმიმდევრობა ექნება.

შეჯიბრება, რომელიც მოსკოვში, მიტიშჩის ოლიმპიურ სასროლეთზე გაიმართა, საუწყებო გახლდათ, რამაც ქართველ მესტენდურეებს დამატებითი სიძნელე შეუქმნა გუნდის დაკომპლექტებისას. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ისინი ჩარიცხეს თავისი სპორტსაზოგადოების — „დინამოს“ მესამე გუნდში, თუმცა მათ არაერთხელ მოუპოვებიათ გამარჯვება საუწყებო და თვით საკავშირო ჩემპიონატშიც. გუნდის მესამე წევრად, შენგელიასა და ქვათაძის დაჟინებული თხოვნით, ესტონელი ფრიდ კინუნენი დაამტკიცეს.

სურათზე: დავით ქვათაძე (მარცხნივ) და გია შენგელია.

და ამ ახალშეკოწიწებულმა სამეულმა კინაღამ სენსაცია მოახდინა. შესანიშნავად ისროდა ფრთაშესხმული კინუნენი, მას არც ჩვენი ბიჭები ჩამორჩნენ და ყველამ ერთად საუკეთესო შედეგი აჩვენა — 441 ქულა მოაგროვა (450 შესაძლებლიდან). ყველაზე საოცარი კი მათი „ფინიში“ იყო: ბოლო 150 გასროლიდან ქართულ-ესტონური გუნდის წევრებს არც ერთხელ არ აუცდენიათ სამიზნისთვის (!). ასეთი რამ ძალზე იშვიათია მესტენდურეთა გუნდურ პირველობებში.

სხვათა შორის, სწორედ 441 ქულა მოაგროვა იტალიის ნაკრებმაც მსოფლიოს ბოლო, 45-ე ჩემპიონატზე (ეს შეჯიბრებაც იქვე, მიტიშჩიში გაიმართა ორიოდე კვირით ადრე, ოღონდ — უფრო ხელსაყრელ ამინდში) და ჩემპიონიც გახდა.

უკვე ვთქვით, დინამოელთა „ნაბოლარად“ მიჩნეულმა გუნდმა ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა — მხოლოდ ქულით ჩამორჩა პროფკავშირების სამეულს („დინამოს“-ის ტრიო, რომელიც ხელმძღვანელებმა საუკეთესოდ ჩათვალეს, არც კი ჩანდა მონაწილეთა შორის), თუმცა იქნებ გაემარჯვა კიდეც, გია შენგელიას საცეცხლე ხაზზე უნებურად რომ არ გავარდნოდა ხელიდან თავისი ძველი, კუსტარულად შეკეთებული თოფი (ასეთი რამ, წესის მიხედვით, აცდენილ გასროლად ფასდება). სხვათა შორის, იქვე დავით ქვათაძესაც თოფზე სამიზნე მოეშალა.

ზემოაღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ გვიჩვენებს ჩვენი მესტენდურეების შესაძლებლობებს. ოღონდ — მხოლოდ შესაძლებლობებს...

ახლა კი იმ მთავარ საკითხებზე გადავიდეთ, რომლებზეც ილაპარაკეს რედაქციაში მოსულმა მსროლელებმა. მათს ნაამბობს ჩვენი კომენტარებით გთავაზობთ.

თუ რა ტრადიცია აქვს სასტენდო სროლას საქართველოში, ამაზე ლაპარაკით თავს აღარ შეგაწყენთ. მთავარი ახლა ისაა, რომ ტრადიციამ მომავალშიც შეინარჩუნოს სიცოცხლისუნარიანობა, დღესდღეობით კი ამის მტკიცე გარანტიას ალბათ ვერც ერთი ჩვენი სპეციალისტი ვერ მოგცემთ, და იქნებ, ამის იმედიც ვერ გამოთქვან.

ამ დროს კი ჯერ კიდევ გვყავს მრგვალ სტენდზე მსროლელთა ძლიერი გუნდი — მართალია, დაშლილი, მიმოფანტული, მაგრამ მაინც დიდი პოტენციის მქონე. თითქოს გუშინ იყო, თამაზ იმნაიშვილმა, გია შენგელიამ და დავით ქვათაძემ, როგორც იტყვიან, „ოქროს დუბლი“ რომ გააკეთეს: 1986 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატიც მოიგეს და თასიც...

„ასეთი გუნდი ხელს ვის აძლევდა — ყველა ჩვენი მეტოქე იყო. თამაზი აუცილებლად სჭირდებოდათ და დიდი ხნით მიჰყავდათ ნაკრებში, როცა ვითხოვდით, რომ საზღვარგარეთ, საასპარეზოდ საქართველოს ნაკრები ცალკე გუნდად გაეშვით, მაშინვე ამას მოგვახლიდნენ: აბა, მესამე წევრად ვინ გყავთო! თამაზ იმნაიშვილს რომ დავუსახელებდით, კატეგორიულ უარს გვეუბნებოდნენ: ის ჩვენ, ნაკრებს გვჭირდებაო.

ისე კი ჩვენი გამოყენებაც სურდათ, ოღონდ ამასაც გვეუბნებოდნენ: ვიცით, რომ კარგი მსროლელები ხართ; მოსკოვში ჩამოდით, აქ ივარჯიშეთ და მერე საზღვარგარეთ ჩვენი სახელით გამოდითო...

იხ. მე-2 გვ.

ნაადრევად ხომ არ დაგვივიწყეს?

(დასასრული)

ეს უცხოური ვაზნები და თოფებიც მხოლოდ ჩვენთვის გამოილია. თან იმის უფლებაც კი არა გვაქვს, რომ ტულაში ჩავიდეთ და თოფები შევუკვეთოთ. ამისათვის საკავშირო ნაკრების ხელმძღვანელების ლიცენზიაა საჭირო. ამ ჩემპიონატის წინ თითქმის არ გვივარჯიშია. სანამ ჩვენს უმაღლესი დაოსტატების სკოლას ჰქონდა ვაზნები, ვვარჯიშობდით, შემდეგ ეს წყაროც „დაიშრიტა". „დინამოს" აქაურ საბჭოს წლეულს ვაზნები არ მიუღია, ვერც საქართველოს ნაკრებიდან მოგვცეს რაიმე. არადა, შეგშურდება, ჩვენს მეტოქეებს — საკავშირო პირველობების მონაწილეები გვყავს მხედველობაში — რა თოფ-იარაღი აქვთ, ვაზნები, სათვალეები, რომელსაც ამინდის მიხედვით შეუცვლი ფერს და სროლას გაგიადვილებს.

შეჯიბრებებზეც თითქმის აღარ გვიწვევენ. მე ამ ჩემპიონატამდე წლეულს მხოლოდ ორ ტურნირში გამოვედი, გია — ერთში. არადა, უშეჯიბრებოდ, რაც გინდა კარგად ივარჯიშო, არაფერი გამოვა"...

ეს სიტყვები, ალბათ უკვე მიხვდით, ჩვენს სტუმრებს ეკუთვნით. ოღონდ მათი სათქმელი ამით არ ამოწურულა.

„ძალიან კარგია, რომ თამაზი ძველებურად ისვრის და წარმატებებს აღწევს. მაგრამ, თუ ის დაანებებს თავს სროლას, ან თუნდაც ერთ-ერთი ჩვენგანი, გუნდი „მოკვდება". ვინმე შემცვლელი რომ ჩანდეს, კიდევ არა უშავს, ამას შეეგუებოდა კაცი. არ უყურებთ, სროლის რა მაღალი დონეა დღეს ყველგან, თვით საკავშირო ტურნირებზეც კი? ჩვენს სამეულს კი, ტრაბახით არ გეტყვით, წარმატებით შეუძლია გამოსვლა ნებისმიერ რანგის ტურნირში, თუკი ცალკე გუნდად გაგვიშვებენ. ოლიმპიადებს ჯერ არ ვგულისხმობთ, ვიცით, რა წინააღმდეგობები გვიშლის ხელს, მაგრამ სხვა შეჯიბრებები ხომ არის?

მოსკოვში გვეუბნებიან, თქვენ მაინც გამოყოფა გინდათ და საკუთარ თავს თქვენვე მიხედეთო. მაგრამ ვინ არის მიმხედავი? ყველამ დაგვივიწყა, აქ არავინ გვკითხულობს, სადა ვართ, რას ვაკეთებთ, ვვარჯიშობთ თუ არა. არადა, ჯერ არა ვართ ხელწამოსაკრავი მსროლელები, მსოფლიოს ერთ ან ორ მართლა უძლიერეს გუნდს იქნებ არა, მაგრამ სხვებს ნამდვილად გავუწევთ მეტოქეობას, ოღონდ ამის საშუალება მოგვცენ. ყველას გამოუჩნდა სპონსორი, თვით დაბალი კლასის სპორტსმენებსაც კი, ჩვენ კი ვის ვახსოვართ? ვალუტა გვჭირდებაო, — ყველა გაიძახის. რამდენი კომერციული ტურნირი ტარდება უცხოეთში, სადაც ჯილდოდ ვალუტას იძლევიან. იქ წასვლა ახლა აღარ წარმოადგენს დიდ სიძნელეს, თუკი კაცი მოინდომებს"...

გაზეთ „ლელოს" მკითხველს კარგად ეხსომება ჩვენს პრესაში გაჩაღებული კამპანიები სპორტსმენთა ცალკეული ჯგუფებისთვის დახმარების აღმოსაჩენად. ასეთი სახის ქველმოქმედება ძალიან სჭირდება ჩვენს სპორტს, მაგრამ აქაც დაკვირვებაა საჭირო. ასეთ საქმეში სასტენდო სროლის გამოტოვება, არ გაგიკვირდეთ და, თავისებურ მფლანგველობას ჰგავს. მომავალში საქართველომ იქნებ თავი ვერ გაართვას სპორტის ე. წ. მასობრივ სახეობებს, მაგრამ „კომპაქტურ" სახეობაზე — სასტენდო სროლაზე რატომ უნდა თქვას უარი? ჩვენთან სასტენდო სროლაში სულ რამდენიმე ათეული სპორტსმენი ვარჯიშობდა, მაგრამ ხომ ცნობილია, მათგან რამდენი ჩამოყალიბდა სახელოვან ოსტატად. ბოლოს და ბოლოს, საქართველოში რამდენი „ყოვლისშემძლე" ნადირობის მოყვარულია, რომელთაც შეუძლიათ სათანადო დახმარება აღმოუჩინონ ჩვენს მესტენდურეებს.

„თბილისში ვარჯიში შეუძლებელი გახდა. ვაზნებზე აღარაფერს ვამბობთ, სავარჯიშო ადგილიც პრობლემაა. რამდენი წელია ყველას ვეხვეწებით, დაგვიდგან ორი თეფშის სატყორცნი დანადგარი —საბჭოთა წარმოებისაა და სულ რაღაც 1200 მანეთი ღირს. ძველი აპარატი, რომელიც ჯერ კიდევ ოცდაათი წლის წინ გააკეთეს, ისე ისვრის თეფშებს, ვარჯიში არ შეიძლება. ჩვენ კი მაინც მივდივართ იქ, მხოლოდ იმისთვის, რომ სროლა არ დაგვავიწყდეს. ერთხანს ყოფილ კომკავშირულ ქალაქში მოგვიწყვეს სტენდი და პირობებიც შეგვიქმნეს, მაგრამ მერე იქაც შეიცვალა ყველაფერი.

ახლა სხვა დროა და მეტი ფხის გამოჩენაა საჭირო. უკვე შეიძლება დამოუკიდებლად კონტაქტების დამყარება, რასაც სხვა რესპუბლიკები ახერხებენ კიდეც. ჩრდილოელი მსროლელები — შვედები, ფინელები და სხვები — სიამოვნებით ჩამოვლენ გაზაფხულ-შემოდგომაზე ჩვენთან, ივარჯიშებენ ოზურგეთსა და ზუგდიდში, სადაც ახალი ბაზები გვაქვს. ჩვენი ოსტატობაც სათანადოდ შეფასდება. რამდენიმე წელია კვიპროსში დავდიოდით, ფაქტობრივად, მასწავლებლის როლში, თან იოლად ვიგებდით „კვიპროსის დიდ პრიზებს". ახლა ხომ ნახეთ, მსოფლიო ჩემპიონატზე რა გუნდი გამოიყვანეს, კინაღამ სამეულში მოხვდნენ. სულ რაღაც ორიოდე წლის წინ კი მათ პირწმინდად ვუგებდით და ახლაც იმედი გვაქვს, ისევ მოვუგებთ".

ჩვენ გაგაცანით მსროლელთა გულისტკივილი და, იმედია, მათ გამოეპასუხებიან. გამოეპასუხებიან საპოლემიკოდ ანდა დახმარების გაწევის მიზნით.

ჩაიწერა
გიორგი ჩოჩიშვილმა

ეს სტიპლ—ჩეისია

სტიპლ-ჩეისი, ცხენოსნობის ეს ულამაზესი და ურთულესი სახეობა, ახლა ჩვენთვის უცხო ხილი არ არის. 1984 წლიდან მოყოლებული, როცა საქართველოდან ცხენოსნობის სპეციალისტთა და გულშემატკივართა დელეგაცია პირველად ჩავიდა ჩეხოსლოვაკიის ქალაქ პარდუბიცეში, სადაც 100 წელიწადია ტრადიციულად ტარდება სტიპლ-ჩეისი, სპორტის ამ სახეობის დანერგვის სურვილი ჩვენშიც გაღვივდა. თბილისის იპოდრომის ხელმძღვანელთა (დირექტორი მ. ტატიშვილი) თაოსნობით ბოლო წლებში ჩვენს იპოდრომზეც იმართება ეს ასპარეზობა. მკითხველებმა იციან, ქართველი მხედრები წელს პირველად გაემგზავრებიან პარდუბიცეში საიუბილეო — მეასე სტიპლ-ჩეისში მონაწილეობის მისაღებად. მით უფრო დიდი ინტერესი გამოიწვია 8 სექტემბერს თბილისის იპოდრომზე გამართულმა შეჯიბრებამ ამ სახეობაში.

გამოჩნდა კიდევ ერთი „სტიპლერი" ოთარ ჯაფარიძე, სპორტის ოსტატი. იგი ცნობილი მხედარია და ახლა აქაც გამოიჩინა თავი, შესაძლებელია (თუ ადრე გაგზავნილ განაცხადში შესწორება შეიტანეს) ო. ჯაფარიძეც გამოვიდეს პარდუბიცეში. ამ მხედარს ცხენს დაუთმობს სახალხო განათლების სამინისტროს სპეციალიზებული ბავშვთა რესპუბლიკური სპორტსკოლა.

სურათზე: თბილისის იპოდრომზე გამართულ სტიპლ-ჩეისში გამარჯვებული მხედარი ო. ჯაფარიძე.

თამაზ ქიქავას ფოტო.

მიმდევარი საქართველოშიც გამოუჩნდა

რას მიქვია იაპონელი!

გინესის რეკორდებზე ათასი უჩვეულო რამ გაგვიგია, მაგრამ როცა რეკორდების წიგნს ათვალიერებ, ამ მოულოდნელობებს მაინც ბოლო არ უჩანს, თურმე, მაგალითად, ჰიანჭველების ყლაპვაშიც არსებულა მსოფლიო მიღწევა და ვიღაც იაპონელს — რეკორდსმენს — 264 ცალი გადაუყლაპია. მართლაც საკვირველია მისი კუჭის სიმაგრე; ბევრს ექნება გამოცდილი, თუ ჰიანჭველა შეაყოლა საჭმელს, რა მუცლის გვრემა ემართება ხოლმე, ამდენი მჟავას ერთბაშად მიღება კი... საოცარია პირდაპირ.

ორიოდე დღის წინ რედაქციაში ერთი ახალგაზრდა გვეწვია — ნუკრი ღვინიაშვილი. სწორედ მან გვიამბო იმ იაპონელ ჰიანჭველამყლაპავზე და სურვილიც გამოთქვა, გავეჯიბრებიო. ჩვენ გავიკვირვეთ, ცხადია, მაგრამ ნუკრიმ გვითხრა, უკვე გამოვცადე და ერთბაშად მიყოლებით, 500 (!) ჰიანჭველა გადავყლაპეო. და ჩვენი გაოცება რომ დაეცხრო, ნუკრიმ ასანთის კოლოფში დამწყვდეული რამდენიმე ჰიანჭველა ამოიღო და მართლაც გადაყლაპა.

სხვათა შორის, ნ. ღვინიაშვილი კარგა ხანია იოგაში ვარჯიშობს და გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, საოცარ ილეთებს ასრულებს, დადის ლურსმნებზე, ბოთლის ნამსხვრევებზე და ა. შ. ალბათ საკუთარი კუჭიც იოგას წყალობით „დაიმორჩილა".

მოსკოვში გინესის რეკორდების მცირე წარმომადგენლობაა და, თუ ჰიანჭველების ყლაპვის ამბავი მართლაც დადასტურდა, იქ განაცხადის გაგზავნა ძნელი საქმე არ უნდა იყოს.

ევროპის ჩემპიონატი ბატუტზე ხტომაში



ლია ბენდიანიშვილი

ანა დოლონაძე

ქართველ ბატუტისტთა სკოლა ანცვიფრებს მსოფლიოს

ზაზა აბრამაშვილი

ბატუტზე ხტომის ქართველ გულშემატკივრებსა და სპეციალისტებს ჯერ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ჩვენი ნაკრების გამარჯვებით გამოწვეული სიხარული არ ჰქონდათ განელებული, რომ ახალმა ცნობამ მოაღწია ჩვენამდე: შვეციაში გამართულ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე საუკეთესოდ იასპარეზეს ქართველმა ბატუტისტებმა — საბჭოთა კავშირის ნაკრების მიერ მოპოვებული 9 ოქროს მედლიდან 7 ჩვენმა სპორტსმენებმა მოიგეს. მოკლე ინფორმაცია ამ წარმატების შესახებ უკვე გამოქვეყნდა „ლელოში", ახლა უფრო დაწვრილებით გაგაცნობთ ყოველივეს, თუმცა ცოტა მოგვიანებით, რადგან ჩემპიონები და მათი მწვრთნელი თენგიზ ხუდოევი, რომელიც ჩემპიონატზე ახლდა მათ, შვეციიდან გომელში გაემგზავრნენ, სადაც საკავშირო ჩემპიონატში მიიღეს მონაწილეობა, ამიტომ, მხოლოდ ბელორუსიიდან ჩამოსვლის შემდეგ მოხერხდა სპორტსმენებისა და სპეციალისტების მოხელთება. ეს წერილიც მათ მონათხრობზეა აგებული.

ევროპის ჩემპიონატისთვის საკავშირო ნაკრებთან ერთად 4 ქართველი ბატუტისტი გადიოდა შეკრებას — რუსუდან ხოფერია, ანა დოლონაძე, ლია ბენდიანიშვილი და ზაზა აბრამაშვილი, მაგრამ რუსუდანი ნაკრების ხელმძღვანელებმა შვეციაში არ წაიყვანეს — „შეინახეს" მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც ოქტომბერში გაიმართება. თუმცა ვფიქრობთ, რომ მარტო ეს არ უნდა იყოს მიზეზი რუსუდანის „თამაშგარე მდგომარეობაში" აღმოჩენისა. ასეა თუ ისე, ჩვენი სამი ბატუტისტი ეწვია იუფსალას, ევროპის ჩემპიონატის მასპინძელ შვედურ საკურორტო ქალაქს. სამივე ქართველი სპორტსმენი თავიდანვე ტურნირის ლიდერად ითვლებოდა, მით უმეტეს, ყველას კარგად ახსოვდა ა. დოლონაძისა და ლ. ბენდიანიშვილის ტრიუმფი შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზე. მაშინაც, დასავლეთ გერმანიის ქალაქ ზალცგიტერიდან ოქროს მედლებით დაგვიბრუნდნენ ჩვენი გოგონები, მაგრამ გათამაშებული 8 ოქროს ჯილდოდან 7 თუ ქართველთა მკერდს დაამშვენებდა, ამას უკიდურესი ოპტიმისტიც ვერ იწინასწარმეტყველებდა.

ვაჟთა ინდივიდუალურ ხტომებში თავიდანვე დაწინაურდა ზაზა აბრამაშვილი. მას კვალდაკვალ მოჰყვებოდნენ თანაგუნდელები — ბუხოვცევი, კოპილოვი და ბილიაევი. ამ სამეულმა რამდენჯერმე შეინაცვლა ადგილი, მაგრამ ეს ცვლილებები ზაზას არ შეხებია. მან წარმატებით დაასრულა ბოლო, ნებისმიერი ვარჯიში და ევროპის ჩემპიონის ტიტულით „დატოვა" ბატუტი.

სინქრონულ წყვილთა ასპარეზობისას ზაზას მეწყვილე სერგეი ბუხოვცევი გახლდათ. — მანამდე ინდივიდუალურ ხტომებში მისი მთავარი მეტოქე. მათი ძირითადი კონკურენტები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბატუტისტები იყვნენ — კარგად დაწყებული საქმე ზ. აბრამაშვილმა და ს. ბუხოვცევმა გამარჯვებით დააგვირგვინეს — ერთეულთა თანრიგში მოგებულ „ოქროს" მეორე ოქროს მედალიც მიუმატა ზაზამ.

ანა დოლონაძე ბოლო ხანს საკავშირო ახალგაზრდული ნაკრების უცვლელი წევრია და, თუ ვინმეს „დაჯავშნული" ჰქონდა ადგილი გუნდში, სწორედ — ანას. მისგან მხოლოდ გამარჯვებას ელოდნენ მწვრთნელები და გაამართლა კიდეც — გაიმეორა თანამემამულის ზ. აბრამაშვილის მიღწევა. ანამ შესანიშნავად შეასრულა სავალდებულო ვარჯიში და ლიდერთა ჯგუფს მოექცა სათავეში. ერთ ეპიზოდში იგი ქულათა მცირედი რაოდენობით უსწრებდა უკრაინელ ლადა ციბრენკოს, მაგრამ მეორე გამოსვლაზე ლამაზად შეასრულა ვარჯიში და ქულათა საკმაოდ სოლიდური სხვაობით დაამარცხა მეტოქე.

ანას და ზაზას უკვე მოპოვებული ჰქონდათ ოქროს მედლები, ახლა ლია ბენდიანიშვილის ჯერიც დადგა, რომელიც მხოლოდ სინქრონულ ხტომებში გამოდიოდა. ლია უკვე ევროპის ორგზის ჩემპიონთან ანა დოლონაძესთან ერთად ავიდა ბატუტზე და სინქრონულ წყვილთა შეჯიბრებაში ისინი თავიდანვე დაწინაურდნენ. ჩვენს დუეტს არც შემდეგ გაუშვია ხელიდან უპირატესობა: გამარჯვებით დაამთავრა ასპარეზობა და მთელი 5 ქულით აჯობა ინგლისის წარმომადგენლებს.

გარდა ამისა, ქართველ სპორტსმენებს გადაეცათ 3 ოქროს მედალი (გუნდურ პირველობაში). დიახ, საბჭოთა კავშირის ნაკრები პირველ ადგილზე გავიდა და ეს უპირველესად ჩვენი სპორტსმენების დამსახურებაა.

მაშ ასე, მოპოვებულია საამაყო გამარჯვება. ბატუტზე ხტომა საქართველოში არსებობის მხოლოდ ოციოდე წელს ითვლის და ამ მოკლე ხანში ათასგვარი მოუგვარებელი პრობლემის თანხლებით, მაინც შესაძლებელი გახდა მსოფლიოს ბატუტისტთა ელიტას — დასავლეთგერმანელ, ბრიტანელ და ფრანგ სპორტსმენებს — არათუ გავტოლებოდით, გვეჯობნა კიდეც მათთვის. ეს კი უპირველესად თენგიზ ხუდოევის, საქართველოს ნაკრების მწვრთნელების ზაურ სულაშვილისა და ევრიპიდ გალჩევის დიდი დამსახურებაა.

თუ ამ ორიოდე წლის წინათ ქართველ ბატუტისტებს ნებისმიერ შეჯიბრებაზე საორიენტაციოდ რუსუდან ხოფერიას გამარჯვებები ჰქონდათ, ახლა სურათი მკვეთრად შეიცვალა და რუსუდანის მიერ გაკვალული ბილიკები კიდევ უფრო „გააფართოვეს". თითქმის არ დარჩენილა საერთაშორისო და საკავშირო ჩემპიონატები და ტურნირები, რომლის ჩემპიონები ან პრიზიორები არ ყოფილიყვნენ ქართველი ბატუტისტები.

ლევან ჯავახიშვილი,

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

„ცხუმი" (სოხუმი) — „გურია" (ლანჩხუთი) 1:3 (0:2)

სოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 10 სექტემბერი.

ცხუმი": ჟორჟოლიანი, ჩიხრაძე, ფარულავა, დოჩია, მალანია, ინალიშვილი, ჯიშკარიანი, თ. სიჭინავა (ქვაჩახია), გოგრიჭიანი, გაბესკირია, კურგენიანი.

„გურია": ქანთარია, ტყებუჩავა, კაბისაშვილი, დანელია, მაჟეიკასი, ცომაია, მიქაბერიძე, ფრიდრიკასი (გუჯაბიძე), კორღალიძე (გ. ჩხაიძე, ფრიდონაშვილი, უგრელიძე (ბარათაშვილი).

მსაჯები: შ. ხანიაშვილი (თბილისი), გ. მიქაუტაძე, თ. მაჩიტაძე (ორივე — ქუთაისი).

გააფრთხილეს დ. ცომაია, ს. მალანია, გ. ტყებუჩავა, ი. გაბესკირია; უხეში თამაშისათვის გააძევეს დ. ცომაია და გ. ჟორჟოლიანი.

ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრა „გურიის" გამარჯვებით დამთავრდა ანგარიშით 3:0, და ამიტომ სოხუმელი გულშემატკივარი დიდი ინტერესით ელოდა განმეორებით შეხვედრას. მაყურებელს სურდა, რომ მის გუნდს რევანში აეღო.

მაგრამ მატჩი სტუმრების გამუდმებული იერიშებით დაიწყო და უკვე მე-4 წუთზე უგრელიძემ ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში, ხუთი წუთის შემდეგ კი ფრიდრიკასმა დაახლოებით 20 მეტრიდან საჯარიმო დარტყმით მეორე ბურთი გაიტანა.

მოსალოდნელმა მარცხმა გაააქტიურა სოხუმელები, მათი შეტევები უფრო გააზრებული გახდა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ჯიშკარიანი, მალანია, გოგრიჭიანი.

მატჩის შემდეგი წუთები დრამატული იყო, რადგან არბიტრმა უხეში თამაშისათვის ჯერ ლანჩხუთელი ცომაია გააძევა მინდვრიდან, ხოლო შემდეგ, 36-ე წუთზე, — მასპინძელთა გუნდის მეკარე ჟორჟოლიანი. ამ უკანასკნელმა უხეშად წააქცია სტუმართა ერთ-ერთი ფეხბურთელი, რომელიც პირისპირ გადიოდა მასთან. ამის შემდეგ სოხუმელთა კარს 17 წლის დებიუტანტი ზურაბ ქვაჩახია იცავდა, რომელმაც, უნდა ითქვას, კარგად გაართვა თავი საქმეს.

მეორე ტაიმი „ცხუმის" უპირატესობით წარიმართა, მაგრამ მეკარე ქანთარია და სტუმართა გუნდის მცველები ზუსტად მოქმედებდნენ. 54-ე წუთზე კი ქანთარიამ გოგრიჭიანის მიერ დარტყმული პენალტიც აიღო.

მეორე ნახევარში სტუმრები კონტრიერიშების იმედად იყვნენ და 72-ე წუთზე ერთ-ერთი ასეთი შეტევა გოლით დააგვირგვინა კორღალიძემ.

პრესტიჟის ბურთის გატანა „ცხუმმა" მხოლოდ 75-ე წუთზე შეძლო, როცა გოგრიჭიანმა ლამაზი თავური დარტყმით შეამცირა ანგარიშში სხვაობა. ამის შემდეგ ისევ გოგრიჭიანსა და ჯიშკარიანს ჰქონდათ კარის აღების რეალური შესაძლებლობები, მაგრამ შეტევის ბოლო მომენტში საჭირო სიზუსტე ვერ გამოიჩინეს.

თენგიზ პაჭკორია,
„ლელოს" საკ. კორ.

„დილა" (გორი) — „გორდა" (რუსთავი) 0:3 (0:0)

გორი. ცენტრალური სტადიონი. 10 სექტემბერი.

„დილა": ჩოჩიევი, კონდრატიევი, გაგნიძე, ქობესოვი, ანიაშვილი, შავდათუაშვილი, მარეხაშვილი, მარღიშვილი (ბალაბანოვი), ნეფარიძე, მელქაძე, მჭედლიშვილი.

„გორდა": მეშკოვი, ფირცხალავა, ავაქიანი, კუდინოვი, ქასრაშვილი, დიმიტრიშვილი, ტ. კაპანაძე, კილასონია, ა. კაპანაძე, ფანცულაია (ბერიძე), მიქაშავიძე.

მსაჯები: მ. მალაღურიძე (თბილისი), ი. ნოზაძე (გორი), ა. ყიფიაშვილი (მცხეთა).

სადღეისოდ მეტოქეები ცხრა საფეხურით არიან ერთმანეთისაგან დაცილებულნი. ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი „გორდა" მესამე ადგილზე იმყოფება, „დილა" — მეთორმეტეზე. თუ პირველ წრეში განცდილი მარცხი მასპინძლებს რევანშისათვის განაწყობდა, სტუმრები ლიდერთა ჯგუფში პოზიციების განმტკიცებისათვის იბრძოდნენ და ამან უაღრესად პრინციპული ხასიათი მისცა თამაშს.

გორელი ფეხბურთელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პირველი ტაიმი გამოკვეთილი უპირატესობით ჩაატარეს. 35-ე წუთზე რუსთაველებმა თავის საჯარიმო მოედანზე უხეშად დაარღვიეს თამაშის წესი, რისთვისაც პენალტით დაჯარიმდნენ, მისი შესრულება ქობესოვს დაევალა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ისე უხეიროდ დაარტყა, რომ მეშკოვს არ გასჭირვებია მისი მოგერიება — 0:0. ასე დამთავრდა თამაშის პირველი ნახევარი.

მეორე ტაიმი რუსთაველთა მწვავე კონტრიერიშებით დაიწყო, მაგრამ არც გორელებს დაუგდიათ თამაშის ტემპი და გამუდმებით უტევდნენ „გორდას" კარს, ამასთან, სერიოზულად ამაგრებდნენ თავიანთი საჯარიმოს მისადგომებს, ამიტომ კონტრიერიშებზე გადასული რუსთაველები შორიდან ურტყამდნენ „დილის" კარის მიმართულებით, მაგრამ ჩოჩიევი ახერხებდა სახიფათო მომენტების განმუხტვას; თუმცა 48-ე წუთზე ფანცულაიას მიერ დაახლოებით ორმოცი მეტრიდან დარტყმული ბურთი ვერ შეაჩერა და ანგარიშიც გაიხსნა — 1:0. 68-ე წუთზე იგივე ფანცულაიას შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მაგრამ იჩქარა და ოდნავ ააცილა მიზანს.

გორელებმა „გორდას" ორივე ფლანგიდან შეუტიეს, მაგრამ მეშკოვი კარგად იცავდა კარს. ზუსტად ორი წუთის შემდეგ მან შესანიშნავ მაღალ ნახტომში კუთხურზე მოგერია ქობესოვის ძლიერი დარტყმა... ამის შემდეგ უფრო და უფრო გამოჩნდა ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლის უპირატესობა და 85-ე წუთზე ჯერ მიქაშავიძემ აიღო ჩოჩიევის კარი, შემდეგ კი ტ. კაპანაძემ იმარჯვა — 3:0.

გორელების ცდა — თავი დაეღწიათ მშრალი ანგარიშით წაგებისაგან — უშედეგო აღმოჩნდა. წაგების მიუხედავად, „დილამ" კარგი შთაბეჭდილება დატოვა მაყურებელზე.

ილია თევდორაშვილი,
„ლელოს" კორ.

„ოდიში" (ზუგდიდი) — „მზიური" (გალი) 4:0 (3:0)

ზუგდიდი. ცენტრალური სტადიონი. 10 სექტემბერი.

„ოდიში": ჭანტურია, ჭაჭუა, სართანია, ჯავაშვილი, თუთბერიძე, ჯიქია, მალანია (ვაინეიკისი). შეროზია (გოგოხია), ბიგვავა, ზდანჩუკი (ტიბუა), თევზაძე.

„მზიური": მაკასარაშვილი (გეთია), კვეკვესკირი, ფარფალია (თ. ღურწკაია), პეტრაუსკასი, დ. ღურწკაია, გაბისონია (აბშილავა), ჯღარკავა, ჩხეტია, ბალტუშნიკასი, ხარჩილავა, ქანთარია.

მსაჯები: ზ. ჭინჭარაძე (ოზურგეთი), ბ. შეროზია (ზუგდიდი), ვ. გვიჩია (ლანჩხუთი).

გააფრთხილეს: გ. ფარფალია.

გოლები: ჯიქია-2 (1 — თერთმეტმეტრიანით), ზდანჩუკი, თევზაძე.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„იბერია" (თბილისი)	23	16	4	3	66-16	52
„გურია" (ლანჩხუთი)	23	16	4	3	59-9	52
„გორდა" (რუსთავი)	23	16	3	4	45-17	51
„ბათუმი" (ბათუმი)	23	15	5	3	45-12	50
„ქუთაისი" (ქუთაისი)	24	15	3	6	40-20	48
„კოლხეთი-1913" (ფოთი)	22	12	3	7	37-22	39
„ცხუმი" (სოხუმი)	23	10	7	6	37-23	37
„მერცხალი" (ოზურგეთი)	24	8	8	8	33-29	32
„სანავარდო" (სამტრედია)	24	8	7	9	22-29	31
„კოლხეთი" (ხობი)	23	8	6	9	30-29	30
„შევარდენი-1906" (თბილისი)	24	8	4	12	31-52	28
„ოდიში" (ზუგდიდი)	24	7	7	10	27-30	28
„დილა" (გორი)	22	7	4	11	29-36	25
„სამგურალი" (წყალტუბო)	24	7	3	14	26-44	24
„მზიური" (გალი)	23	7	3	13	29-51	24
„ივერია" (ხაშური)	24	7	1	16	23-52	22
„ამირანი" (ოჩამჩირე)	23	4	6	13	19-33	18
„ლიახვი" (ცხინვალი)	24	0	0	24	11-105	0

I ჯგუფი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები I ჯგუფის გუნდებს შორის: „ჩიხურა" (საჩხერე)— — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 0:0, „სქური" (წალენჯიხა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:2, „არაგვი" (დუშეთი) — „არმაზი" (მცხეთა) 3:1, „ბახტრიონი" (ახმეტა) — „ალაზანი" (გურჯაანი) 2:1, „მაღაროელი" (ჭიათურა) — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 4:1, „იმერეთი" (ხონი) — „ქართლი" (გორის რ-ნი) 2:2, „შუქურა" (ქობულეთი) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 4:1, „სულორი" (ვანი) — „მარგვეთი" (ზესტაფონი) 3:2.

აპარტეიდს — შარი

გაზეთებში ამას წინათ გამოქვეყნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ამხანაგურ შეხვედრათა ჩასატარებლად მიიწვიეს ვილნიუსის „ჟალგირისის" ფეხბურთელთა კოლექტივი.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ცნობილია თავისი უკიდურესი რასისტული პოლიტიკით, შავკანიანი მოსახლეობის მიმართ სანქციონირებული რეპრესიებით, ამიტომაც ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ, აფრიკის საფეხბურთო კონფედერაციამ და სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ თხოვნით მიმართეს „ჟალგირისს" უარი თქვას ამ მგზავრობაზე. ამასთან დაკავშირებით ლიტვის ოლიმპიურმა კომიტეტმა, ლიტვის რესპუბლიკის მთავრობის ფიზიკური კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა, ლიტვის საფეხბურთო კავშირმა ასეთი განცხადება გააკეთეს:

„ვილნიუსის „ჟალგირისის" საფეხბურთო გუნდი კომერციულ შეხვედრათა ჩასატარებლად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გასამგზავრებლად მოემზადა. ჩვენ მივესალმებით ყველა ინიციატივას, რომელიც ხელს უწყობს სპორტულ ურთიერთობათა განვითარებას, მაგრამ ამ ტურნეს მოწონება და მხარდაჭერა არ შეიძლება. „ჟალგირისის" ხელმძღვანელობამ და მწვრთნელებმა ანგარიში არ გაუწიეს იმ აზრს, რომელიც ამჟამად გაბატონებულია მთელს სპორტულ სამყაროში: სანამ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ჯერ კიდევ გამეფებულია აპარტეიდი, ამ ქვეყნის გუნდებთან შეჯიბრებები აკრძალულია, მით უმეტეს, უშუალოდ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას გაეთიშნენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, საერთაშორისო სპორტულ ფედერაციათა დიდი ნაწილი, მათ შორის, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაც. თუ ეს მგზავრობა განხორციელდა, „ჟალგირისის" კოლექტივი უპირველესად საკუთარ თავს გამოუტანს განაჩენს ყველა მათ თვალში, ვინც კი აპარტეიდის წინააღმდეგია და გმობს მას. ეს ჩრდილს მიაყენებს მთელს ლიტვურ სპორტს და არა მარტო სპორტს.

ჩვენ გადაჭრით ვეწინააღმდეგებით ამგვარ ურთიერთკავშირებს და მიგვაჩნია, რომ ვილნიუსელმა ფეხბურთელებმა უნდა გამოიჩინონ კეთილი ნება, წინდახედულება და ღირსება, მოიქცნენ ისე, როგორც ეს დღევანდელ პირობებს შეეფერება".

როგორც ლიტვის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ა. პოვილიუნასმა განაცხადა, „ჟალგირისის" ფეხბურთელებმა უარი თქვეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გამგზავრებაზე,

ფრანც ბეკენბაუერის გეგმები

მსოფლიოს XIV საფეხბურთო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ მრავალ ეროვნულ ნაკრებში მოხდა ცვლილებანი. მწვრთნელთა ერთმა ნაწილმა დატოვა ხელმძღვანელის პრესტიჟული პოსტი; გამოჩნდნენ ახალი სპეციალისტები, რომლებიც შემდგომში მუშაობას გააგრძელებენ თავიანთი ქვეყნის პირველ გუნდებთან.

ერთ-ერთი მათგანი, ვინც ნაკრები დატოვა, არის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდის მწვრთნელი ფრანც ბეკენბაუერი, რომლის ხელმძღვანელობითაც ამ ქვეყნის ეროვნულმა ნაკრებმა მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა. ფ. ბეკენბაუერს ადრევე ჰქონდა განზრახული ნაკრებიდან წასვლა, ამის თაობაზე უცხოურ პრესაში ბევრი დაიწერა. ამას წინათ კი გამოცხადდა, რომ ფ. ბეკენბაუერი ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრება, მაგრამ არა მწვრთნელად, არამედ აშშ-ში შექმნილ იმ საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთ პასუხისმგებელ მუშაკად, რომელმაც დიდი წინასწარი სამუშაო უნდა გასწიოს 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის სამასპინძლოდ. ფოტოებიც კი გამოქვეყნდა, სადაც ფ. ბეკენბაუერი ჰენრი კისინჯერის გვერდითაა გადაღებული.

ცნობილი გერმანელი ფეხბურთელისა და მწვრთნელის ამ უცნაური გადაწყვეტილების თაობაზე ახლა ბევრს ლაპარაკობენ საერთაშორისო საფეხბურთო წრეებში. ცნობა ამის თაობაზე გამოაქვეყნეს საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტოებმა და, კერძოდ, დასავლეთ გერმანიის საფეხბურთო ჟურნალმა „კიკერმაც". ამ პოპულარულ გამოცემაში სრულიად არაორაზროვნად იმაზეც იყო ლაპარაკი, რომ ფ. ბეკენბაუერს შორეული გეგმები აქვს დასახული და ამ მიზნების განსახორციელებლად ირჯება. ბეკენბაუერი ახლახან იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. აქ მან რამდენიმე ქალაქი მოიარა, ჰ. კისინჯერის გარდა მოინახულა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მთავარი ორგანიზატორი პიტერ იუბეროტი და შინ ჩამოსვლისას განაცხადა: „მე, ალბათ, მონაწილეობას მივიღებ მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის მუშაობაში უშუალოდ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ორი წლით ადრე. ცხადია, მომიწევს ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების ტექნიკური ზედამხედველობაც".

ფრანც ბეკენბაუერის მომავალი საქმიანობის ფორმულირება, როგორც ხედავთ, ბუნდოვანია, კონკრეტულად მას არაფერი უთქვამს.

ეს გამოჩენილი ფეხბურთელი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებში თამაშობდა მრავალი წლის განმავლობაში, მისი კაპიტანიც იყო, შემდეგ ამერიკაში გადავიდა სათამაშოდ, მერე დაუბრუნდა დასავლეთ გერმანიას, მწვრთნელის საქმიანობას მიჰყო ხელი და ბოლოს ნაკრების უფროსი მწვრთნელის პოსტზე მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა. ფ. ბეკენბაუერი თვითვე იყო მსოფლიო ჩემპიონი და მწვრთნელის როლშიც მიაღწია იმავე წარმატებას. ამას მხოლოდ მან და ბრაზილიელმა მარიო ზაგალომ მიაღწიეს.

ს უ რ ა თ ზ ე: ფრანც ბეკენბაუერი „შეგირდებთან" ერთად იტალიაში მოპოვებული მსოფლიო ჩემპიონობის შემდეგ.

„კიკერი" განაგრძობს: „ფრანც ბეკენბაუერის აზრით, მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდად წაადგება ამერიკელებს ფეხბურთის საყოველთაო დანერგვის საქმეში. ამერიკა შესანიშნავი პოლიგონია ევროპული ფეხბურთის პოპულარიზაციისთვის". ჟურნალი აღნიშნავს, რომ ფ. ბეკენბაუერმა გადაწყვიტა ორგანიზატორად იმუშაოს მსოფლიო ჩემპიონატის წინ, მაგრამ მანამდე იგი იაპონიის გიგანტური ფირმა „დენცას" სარეკლამო ბიუროს წამყვანი მუშაკი იქნება.

ყველაფერი ეს დიდად საინტერესოა ფეხბურთით დაინტერესებული კაცისთვის, მაგრამ სულ ახლახან მოვიდა ახალი ცნობა, რომელმაც ცხადჰყო, სინამდვილეში რა სურს ფრანც ბეკენბაუერს: გამოირკვა, რომ მთელი ეს სამზადისი ამაო ფუსფუსი იყო, ვინაიდან ბეკენბაუერმა მიიღო ცნობილი ფრანგი მილიონერის, საფეხბურთო კლუბ „მარსელისა" და სამრეწველო ფირმა „ადიდასის" ახალი მფლობელის ბერნარ ტაპის მიწვევა და „მარსელის" ტექნიკურ დირექტორად შეუდგა მუშაობას. ამის შესახებ განცხადება გააკეთა თვით ბერნარ ტაპიმ. ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში მან განაცხადა, რომ „მარსელში" იმუშავებენ ფრანც ბეკენბაუერი და მისი უახლოესი თანაშემწე ჰოლგერ ოსიეკიც, რომელიც იტალიაში უფროს მწვრთნელს უხმარებოდა მსოფლიო ჩემპიონატზე.

ფ. ბეკენბაუერს ახლა ორწლიანი კონტრაქტი აქვს გაფორმებული „მარსელის" ხელმძღვანელობასთან. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ბერნარ ტაპი არასოდეს ძუნწობს მაშინ, როცა საქმე ეხება მსოფლიოს გამოჩენილ ვარსკვლავებს, საკონტრაქტო თანხაც, ალბათ, სარეკორდოა. ყოველ შემთხვევაში, ფრანგმა მილიონერმა იუგოსლაველი დრაგან სტოიკოვიჩის საფასურად თვალის დაუხამხამებლად 8 მილიონი დოლარი გადაიხადა, შემდეგ ინგლისელი კრის უოდლი შეიძინა 7 მილიონად და, „კაიზერ-ფრანცისთვისაც" არ დაიშურებდა ფულს... რაც შეეხება თვით ფ. ბეკენბაუერს, მან დასავლეთ გერმანიის ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა: „მარსელი" ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო საფეხბურთო კლუბია, მრავალი გულშემატკივარი ჰყავს და მის ხელმძღვანელად მიწვევა ყველასათვის ფრიად საპატიო საქმეა. მაგრამ ჩემი მიზნები უფრო შორს მიმავალია — მინდა ვითანამშრომლო მიშელ პლატინისთან, რათა საფრანგეთში შევქმნათ ნამდვილად მაღალი კლასის, პირველხარისხოვანი საფეხბურთო-ნაკრები".

მედალოსანთა გუნდი

საბჭოთა კავშირში უამრავი მძლეოსნობის სკოლაა და მათი პირველობა საკმაოდ მაღალი რანგის ტურნირად ითვლება. ამასთან, წინასწარი შედეგების მიხედვით აირჩევა 35 საუკეთესო სკოლის გუნდები და მათ შორის უკვე ფინალური შეჯიბრება იმართება.

საქართველოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სასწავლებლები მრავალჯერ გამოსულან ამ ტურნირზე, მაგრამ VI ადგილზე უკეთესი შედეგი არასდროს უჩვენებიათ. ესეც რესპუბლიკის პროფკავშირების სპეციალიზებულმა სკოლამ მოახერხა 1975 წელს. მას შემდეგ ჩვენი გუნდები საუკეთესოთა ათეულშიც აღარ გვინახავს.

და აი, 15 წლის შემდეგ საქართველოს პროფკავშირების მძლეოსნობის სპეციალიზებულმა სკოლამ (დირექტორი ედუარდ ლომთაძე) გააუმჯობესა თავისივე მაჩვენებელი და წლევანდელ ფინალურ ტურნირში IV ადგილი დაიკავა. არ დაგავიწყდეთ, ეს წარმატება მძლეოსნობაშია მოპოვებული, რაშიც ასე გაგვიიშვიათდა მიღწევები.

ბრიანსკში ჩვენი ათკაციანი გუნდი ასპარეზობდა და მან ცხრა დისციპლინაში მოიპოვა მედალი, რაც ასევე ცალკე მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს. საუკეთესოდ იასპარეზეს იუნიორთა მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონატის მონაწილეებმა — ამბროსი მატიაშვილმა და ვლადიმერ მინაკოვმა. ამბროსიმ შუბის ტყორცნაში გაიმარჯვა (71,98 მ), ხოლო მინაკოვმა — სიმაღლეზე ხტომაში (213 სმ). 400 მეტრზე თარჯრბენში უძლიერესი იყო მაია ხიდაშელი — 54,98, რომელიც ცალკე 400 მეტრზეც გამოვიდა და იქ უკვე ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ორი მედლის მფლობელი გახდა ნინო ონაშვილიც, მან ბირთვის კვრაში (14,80 მ) მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო ბადროს ტყორცნაში (50,22 მ) — მეს მე. 100 მეტრზე რბენაში ფინიშთან მეორე მიიჭრა დიანა ხუბაშვილი —12,36.

ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს აიდა ტოროსიანმა 400 მეტრზე რბენაში (55,75) და ბექან ვარდანიძემ — შუბის ტყორცნაში (66,60 მ). ბირთვის მკვრელი მადონა წიქარიშვილი (13,25 მ) და შუბისმტყორცნელი სიმურ ქორთიევი (64,04 მ) მეოთხე ადგილებზე გავიდნენ. უნდა აღვნიშნოთ ზემოთ ჩამოთვლილ მძლეოსანთა მწვრთნელებიც, რომლებმაც ასე კარგად მოამზადეს თავისი მოწაფეები: რეზო კობიაშვილი, გენადი სავჩენკო, მარინა შჩოგოლევა, მამია ტუღუში, დავით მელაძე, ევგენი საპრონოვი, ყარამან საბანაშვილი.

◆ ◆ ◆

ლონდონი ელის

როგორც ინგლისური პრესა იუწყება, 25 სექტემბერს ლონდონში მეტად საინტერესო შეხვედრა უნდა გაიმართოს კრივში. მსოფლიოს ექსჩემპიონი და ახლა ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი, 42 წლის ჯორჯ ფორმენი შეხვდება არგენტინელ ვალტერ მასერონის.

მძიმეწონოსანთა ეს მატჩი, მოლაპარაკების თანახმად, 10 რაუნდისაგან შედგება.

◆ ◆ ◆

ცოცხალია თუ არა?

ბერლინის გაზეთ „დოიჩეს შპორტეხოს" ცნობით, შეიხი ფაჰად ალ-აჰმედ ალ-საბაჰი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი და ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, შესაძლოა ცოცხალია. მანამდე კი ოფიციალურმა სააგენტოებმა გვაცნობეს, რომ იგი მოკლეს ერაყელმა ჯარისკაცებმა ქუვეითის ემირის სასახლის დაცვის დროს.

ახლა ქუვეითიდან იუწყებიან, რომ 45 წლის ალ-საბაჰი, ემირის ძმა და 6 შვილის მამა, იატაკქვეშეთშია და იბრძვის ერაყელი ოკუპანტების წინააღმდეგ.

რომელი ცნობაა მართალი?!

ავტოსპორტი

წარმატებები პრობლემების ფონზე

ტრადიციულად ძლიერი შემადგენლობა იყრის თავს საკავშირო პირველობაზე წრიულ რბოლებში ავტოტრანსპორტისა და გზების სამინისტროებს შორის გაზეთ „ტრუდის" პრიზზე. ამჯერად, რიგაში, „ბიკერნიეკის" სარბოლო ტრასაზე იყვნენ უკრაინის, ბელორუსიის, რსფსრ-ს, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, უზბეკეთის და საქართველოს ნაკრები გუნდები.

ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების უდავო წარმატებად უნდა ჩაითვალოს გუნდური მესამე ადგილი უკრაინისა და რუსეთის ფედერაციის ძლიერი კოლექტივების შემდეგ, მაგრამ მთავარი გამარჯვება მაინც კლუბებს შორის ჩემპიონის წოდების მოპოვება გახლდათ. ამ წარმატებას მიაღწია საქართველოს ავტოტრანსპორტისა და გზების სამინისტროს სპორტულ-ტექნიკურმა ავტოკლუბმა (დირექტორი გ. თურმანიძე). სულ, კლუბებს შორის, 11 გუნდი ეცილებოდა ერთმანეთს ჩემპიონის წოდებას.

საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდნენ ოთარ არჯევანიძე, გივი ათუაშვილი, გურამ თვაური, თეიმურაზ აბრამოვი, ალექსანდრე მირიანაშვილი, მირიან ონოფრიშვილი და დავით ხომერიკი. გუნდს წვრთნიან შ. ხომერიკი და მ. ლოგინოვი.

ეს წარმატება, უპირველესად, იმ ყურადღებისა და ერთობლივი ძალისხმევის შედეგია, რომელიც გუნდის მიმართ გამოიჩინეს საქართველოს ავტოტრანსპორტისა და გზების სამინისტრომ, თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებამ და სამინისტროს სპორტულ-ტექნიკურმა კლუბმა, რომელსაც უშუალოდ ჰქონდა დავალებული ნაკრების დაკომპლექტება და მომზადება.

ახლა თავად ასპარეზობის შესახებ. შეჯიბრებაში სხვადასხვა კლასის სპორტული ავტომანქანები მონაწილეობდნენ. „ვოსტოკის" კლასში საქართველოს წარგზავნილები არ გამოდიოდნენ იმ „უბრალო" მიზეზით, რომ მათ არ გააჩნიათ ამ ტიპის სარბოლო მანქანები. არადა, ვინ იცის, იქნებ „ვოსტოკის" კლასში მოპოვებულ ჩასათვლელ ქულებს, ერთი ნაბიჯით მაინც წაეწია წინ გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ნაკრები.

უფრო მაღალი შედეგის მოპოვების შანსი დაკარგა გუნდმა „ფორმულა 1600" კლასშიც, როდესაც ასპარეზობას, მანქანის მწყობრიდან გამოსვლის გამო, გამოეთიშა ალექსანდრე მირიანაშვილი, რომელიც საპრიზო სამეულში მოსახვედრად იბრძოდა. საბოლოოდ, ამ კლასში, საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ანდრეი კრიტოვი (მოსკოვი), 2. ანდრის კალკისი (რიგა), 3. თეიმურაზ კანდელაკი (მოსკოვი).

20 სარბოლო მანქანა მონაწილეობდა მე-7 კლასში („ჟიგული-1300"). მათ შორის იყო საქართველოს ნაკრების დებიუტანტი მირიან ონოფრიშვილიც და, მიუხედავად იმისა, რომ მას არ ჰქონდა მსგავს შეჯიბრებებში მონაწილეობის პრაქტიკა, ურიგოდ არ უასპარეზია და საბოლოოდ მე-10 ადგილს დასჯერდა. პირველი ადგილი კი ამ კლასში ტოლიატელმა სერგეი გურიანოვმა მოიპოვა.

ტოლიატელ მრბოლთა ოსტატობა და მათი „საბრძოლო ტექნიკით" მშვენიერი აღჭურვა, ცხადია, არავის აკვირვებს. საკავშირო ასპარეზობებზე ისინი ყოველთვის მოწინავეთა შორის არიან. ასე იყო ამჯერადაც. სწორედ მათ მოიპოვეს პირველი და მეორე ადგილები მე-8 კლასის („ჟიგული-1600") ავტომანქანებით რბოლაშიც: 1. სერგეი ბელოზიოროვი, 2. ალექსანდრე ვორონინი. ამ კლასში საქართველოს წარმომადგენელმა თეიმურაზ აბრამოვმა კარგად იასპარეზა, მეოთხე ადგილი დაიკავა და გუნდს ესოდენ საჭირო ქულებიც შესძინა.

ტრადიციულად, მაყურებელთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ხოლმე მე-10 კლასის სპორტული ავტომანქანების რბოლები. ასე იყო ამჯერადაც.

სტარტიდანვე წინ გაიჭრა ორი „ვოლგა" — რიგელ იურის ბელმერესისა და თბილისელ ოთარ არჯევანიძის და, თუ ქართველი სპორტსმენი ტოლს არ უდებდა ქვეყნის შვიდგზის ჩემპიონს მანქანის მართვის ოსტატობაში, გადამწყვეტი სიტყვა რიგელის მანქანის უფრო ძლიერმა ძრავამ თქვა. ამ დაძაბულ რბოლაში, საბოლოოდ, ადგილები ასე განაწილდა: 1. იურის ბელმერესი, 2. ოთარ არჯევანიძე, 3. ნიკოლაი ხვოსტოვი (მოსკოვი).

ამავე რბოლაში IX ადგილი დაიკავა გივი ათუაშვილმა, X — გურამ თვაურმა, XII — დავით ხომერიკმა. სულ სტარტზე 42 მანქანა გამოვიდა.

ისევე, როგორც მირიან ონოფრიშვილი, პირველად იცავდა საქართველოს ნაკრების ღირსებას დავით ხომერიკიც და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათი სახით ქართველ მრბოლებს საიმედო ცვლა ეზრდებათ.

დასასრულ, კვლავ უნდა დავუბრუნდეთ იმ პრობლემებს, რომლებზეც ადრეც გვქონდა საუბარი. საქმე ეხება საქართველოს ავტოტრანსპორტისა და გზების სამინისტროს სპორტულ-ტექნიკურ კლუბს, რომელიც უკვე რამდენიმე წელია რაც ჩამოყალიბდა, მაგრამ დღემდე არა აქვს მუშაობის ნორმალური პირობები. თავდაპირველად კლუბს გამოუყვეს ადგილი, სადაც მეტად თუ ნაკლებად იყო სამუშაო პირობები. შემდეგ აქედან სხვაგან „გადაასახლეს" უკეთესი მომავლის პირობით. გარკვეული ხნის შემდეგ დანაპირების შესრულებასაც შეუდგნენ, მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება, მშენებლობა შეჩერდა და ჯერჯერობით არავინ იცის რამდენი ხნით. დაუმატეთ ამას სხვა, მატერიალური თუ ტექნიკური გასაჭირიც და მიხვდებით, თუ რა ძალისხმევისა და ენთუზიაზმის ფასად უჯდებათ სპორტსმენებსა და მწვრთნელებს იმ, ასე თუ ისე, ხელშესახები წარმატებების მიღწევა, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

თუმცა, კაცი იმედით ცოცხლობს და, თუ ამ ენთუზიაზმს ცოტა მხარდაჭერასაც დავუმატებთ მათი მხრიდან, ვისაც ეს ევალება, უფრო დიდი წარმატებებიც არ დააყოვნებს.

შოთა ხომერიკი

◆ ◆ ◆

არასტაბილურად, მაგრამ...

„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (კიევი) — 8:12 (2:6, 0:1, 3:3, 3:2).

თბილისი. „ვერეს" საწყლოსნო-სპორტული კომპლექსი. 10 სექტემბერი.

„დინამო" (თბილისი): კერესელიძე, გიორგაძე, ჩომახიძე, გოგიშვილი, ბითაძე, კუტივაძე, ხორებოვი, დავითიანი, კანდელაკი, მაჰავარიანი, რამიშვილი, ახათიანი.

„დინამო" (კიევი): ბელოფასტოვი, ჩებიხა, ზავიდიანი, სტაროსტენკო, პეტნიკი, ბაკლანოვი, ზოტოვი, სტუპანოვი, ზალუშკო, ბრონდარენკო, პლოტნიკოვი, მატიშჩუკი.

მსაჯები: ი. აფანასიევი (ყაზანი), ა. ანციფეროვი (ლენინგრადი).

თბილისის ტურის მეოთხე მატჩში ჩვენმა დინამოელებმა კიეველ თანაკლუბელებს უმასპინძლეს. მატჩი თბილისელთა იერიშებით დაიწყო და დავითიანმა პირველსავე წამებზე გახსნა ანგარიში, ამას სტუმართა ორი გოლი მოჰყვა, თუმცა ჩომახიძემ კვლავ აღადგინა წონასწორობა. მალე კიეველებმა კიდევ ოთხი ბურთი გაიტანეს მეკარე კერესელიძის კარში — 6:2.

მეორე პერიოდი, პირველისაგან განსხვავებით, არ გამოდგა უხვგოლიანი. ამჯერად მხოლოდ ბაკლანოვმა დააწინაურა თანაგუნდელები — 7:2. მართალია, მომდევნო პერიოდში გოგიშვილმა (2) და ჩომახიძემ 3 ლამაზი გოლი გაიტანეს, მაგრამ შემდეგ ბაკლანოვმა და ზოტოვმა (2), კიეველთა გუნდის ამ ყველაზე აქტიურმა თავდამსხმელებმა კვლავ ხუთამდე გაზარდეს სხვაობა ანგარიშში — 10:5.

ბოლო 9 წუთი ჩვენმა წყალბურთელებმა ალმაცერობით ჩაატარეს. ჯერ ჩომახიძემ, შემდეგ რამიშვილმა ლამაზი გოლები გაიტანეს ბელოფასტოვის კარში, რამდენიმე წამში კვლავ რამიშვილმა აიძულა მეტოქე ცენტრიდან დაეწყოთ თამაში (ამასობაში კიეველებმა ერთი გოლი გაქვითეს) მატჩის დამთავრებამდე 5 წუთზე მეტი დრო რჩებოდა, ეს კი სრულიად საკმარისია წყალბურთში იმისათვის, რომ მეტოქის სამბურთიანი უპირატესობა გააბათილო, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენმა სპორტსმენებმა ეს ვერ მოახერხეს. საბოლოოდ გაიმარჯვეს კიეველებმა (12:8). მათ ბოლო წამებზე კიდევ ერთი გოლის გატანა მოახერხეს.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: უნივერსიტეტი (მოსკოვი) — „დინამო" (ალმა-ათა) — 18:9, „ლოკომოტივი" (ხარკოვი) — „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) — 7:7.

სევასტოპოლში წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე ჯგუფში მოასპარეზე გუნდების მეოთხე ტურის შეხვედრების შედეგები: ცსკ სსფ — „დინამო" (მოსკოვი) 12:10, „ტორპედო" (მოსკოვი) — „დინამო" (ლვოვი) — 10:10, „მოსკვიჩი" — შზფ (სევასტოპოლი) — 7:9.

გუშინ...

ტურის ბოლო მატჩში თბილისის „დინამომ" დაამარცხა ლიდერი — მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდი 12:11.



„სპორტპროგნოზი"

36-ე ტირაჟის შედეგები

(7-10 სექტემბერი)

1—2, 2—2, 3—2, 4—1, 5—1, 6—2, 7—X, 8—1, 9—X, 10—1, 11—1, 12—1, 13—2.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რედაქტორი

თენგიზ გაჩეჩილაძე

ვისაც წყალბურთი იზიდავს

ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის წყალბურთის რესპუბლიკური სპორტული სკოლა აცხადებს 1978 და მომდევნო წლებში დაბადებულ ცურვის მცოდნე მოსწავლეთა მიღებას.

შერჩევა დაიწყება 12 სექტემბრიდან და გასტანს თვის ბოლომდე, მოგვაკითხეთ ყოველდღე, გარდა კვირისა, 10-დან 15 საათამდე.

ჩვენი მისამართია: საირმის ქ. №51. ტელეფონი: 38-44-89.

◆ ◆ ◆

პირველი მილიონერი ფრენბურთელი

ამერიკელი ფრენბურთელი კარჩ კირაი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა თავისი გუნდის (იგი ნაკრების უცვლელი კაპიტანი იყო) წარმატებებში 1984 და 1988 წლების ოლიმპიადებზე (აშშ-ის გუნდი ამ წლებში ჩემპიონი გახდა), სულ მალე მსოფლიოში პირველი მილიონერი ფრენბურთელი გახდება. კირაი და მისი თანაგუნდელი სტივ სიმონსი მიწვეული არიან იტალიის კლუბში ერთი წლის ვადით. კონტრაქტის თანახმად ისინი ნახევარ-ნახევარ მილიონ დოლარს მიიღებენ.

კონტრაქტის ვადის დამთავრების შემდეგ ამერიკელები დაბრუნდებიან სამშობლოში და გამოვლენ პლაჟის ფრენბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატში. ამ ტურნირში ასპარეზობისათვის კირაი დამატებით 350 ათას დოლარს მიიღებს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ კირაის უკვე სოლიდური თანხა აქვს ბანკში პირად ანგარიშზე, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ 1991 წლის ბოლოსათვის იგი მილიონერი გახდება.



თბილისის ეროვნული სტადიონი
ა. წერეთლის გამზირი №2
15 სექტემბერი ● ფეხბურთი
საქართველოს ხაფეხბურთო ჩემპიონატი
„იბერია" (თბილისი) — „კოლხეთი" (ხობი)
დასაწყისი 19 საათზე
მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 14 და 15 სექტემბერს 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-დან 15 საათამდე).

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ბ. ქორქია, კორექტორები მ. ძეძამიძე და ც. ხიტიშვილი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380000,
თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,
„[illegible]" — 93-97-20, „მართვე" — 93-97-27.

გაზეთი ინდექსი: 68485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 ~~6~~ 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20